

**თანაბრადმტკიცე კონტურის მოძებნის ამოცანა ხვრელითა და
წვეროებში ამონაჭრებით შესუსტებული მართკუთხა არისათვის**

გ. კაპანაძე

ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი

განხილულია დრეკადობის ბრტყელი თეორიის თანაბრადმტკიცე კონტურის მოძებნის ამოცანა ხვრელითა და წვეროებში ამონაჭრებით შესუსტებული მართკუთხა არისათვის. საძიებელი კონტურის თანაბრად სიმტკიცის პირობა გულისხმობს მასზე ტანგენციალური ნორმალური ძაბვის მუდმივობას. კომპლექსური ანალიზის მეთოდების გამოყენებით საძიებელი კომპლექსური პოტენციალები და თანაბრად-მტკიცე კონტურის განტოლება აგებულია ეფექტურად (ანალიზური ფორმით). დაწვრილებითაა გამოკვლეული ციკლური სიმეტრიის (კვადრატის) შემთხვევა.